შეთანხმებულია პედაგოგიურ

საბჭოსთან

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიის მისია, ხედვა, ღირებულებები…

სკოლის მისიაა:

აღზარდოს დამოუკიდებელი, პროგრესულად მოაზროვნე, კონკურენტუნარიანი პიროვნება, რომელიც გააცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ისტორიული და კულტურული ღირებულებების მიმართ,იქნება თავისი საქმისა და ქვეყნის ერთგული;

შექმნას კომფორტული ,უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო, სადაც მოსწავლეები განივითარებენ პოზიტიურ უნარ-ჩვევებს, შეძლებენ მიღებული ცოდნის წარმატებით გადატანასა და გამოყენებას განსხვავებულ სიტუაციებში,.რაც ხელს შეუწყობს მათ ადაპტაციას, თავისუფალ აზროვნებას.

სკოლის ხედვა:

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიის **მომავლის ხედვაა** იყოს სტაბილური და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად; ზრუნავდეს თავისუფალი, მოტივირებული და კონკურენტუნარიანი ადამიანის ჩამოყალიბებაზე; წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.ხელს უწყობდეს შექმნილი ჯანსაღი,უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შენარჩუნებით ,მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებას, მათში იმ ძალების განმტკიცება, რომელიც გამოიწვევს სწავლისადმი დიდ ინტერესს;

სკოლის ღირებულებები:

1.სკოლის კულტური დედაბოძი ის ფასეულობებია, რომლებსაც მთლიანად იზიარებს სკოლის ყველა წევრი. კერძოდ:

ა)სკოლის მისიის შესრულებისაკენ სწრაფვა;

ბ)მოწესრიგებული, სუფთა და დაცული სასკოლო გარემო, სწავლებისა და აღზრდისათვის მრავალფეროვანი, მშვიდი და საქმიანი პირობები;

გ)ურთიერთობის მაღალი კულტურა;

დ)ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვა სასწავლო პროცესის მონაწილეთა და საზოგადოების წარმომადგენელთა შორის;

ე) შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო;

ვ) დემოკრატიულობა, განსხვავებული აზრისადმი პატივისცემა;

ზ)ერთსულოვნება, გუნდური მუშაობა, კოლეგიალურობის დაცვა;

თ)კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა და წესრიგის დაცვა;

ი) ზრუნვა მოსწავლეთა აკადემიური ხარისხის ამაღლებასა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებაზე;

კ) თანამშრომლობა მშობლებთან;

ლ)ინიციატივების წახალისება;

მ)კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლება;

ნ) ზრუნვა საკუთარი მოვალეობების გააზრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის;

ო) წარსული გამოცდილების გათვალისწინება და ინოვაციური მიდგომების დანერგვა;

პ)ახალგაზრდა და დამწყებ პედაგოგებთან მიზნობრივი მუშაობა;